ლენტეხი news

№3. აპრილი, 2024 წელი.

გამოდის თვეში ერთხელ • ვრცელდება უფასოდ

„ვიდრე თითოეული მოქალაქე არ შეიგრძნობს, რომ სახელმწიფო „მეწველი ძროხა“ არ არის, მანამდე ძალიან გაგვიჭირდება...“

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი, გია ონიანი, რაიონის გამოწვევებისა და მიღწევების შესახებ

ლენტეხი NEWS-ის მესამე ნომრის მასალების მოსამზადებლად, რედაქტორთან ერთად, ლენტეხს ვსტუმრობდი. ქუთაისიდან მზიანი ამინდი გაგვყვა, გავიარეთ გამწვანებული წყალტუბო, დიდებული ცაგერი, თავისი მომნუსხველი ბუნებით და ჩემი პირველი ვიზიტი სვანეთში ლენტეხიდან დაიწყო. საქართველოს უზარმაზარმა, ჰაერში აღმართულმა დროშამ ჩემში სიხარული გამოიწვია, ხიდი გავიარეთ, იქვე მუზეუმის შენობა შევნიშნეთ, ორმა შესანიშნავმა ქალბატონმა გვიმასპინძლა. სვანური კოშკის კიბეები სწრაფად ავირბინე იმის ინტერესით, თუ რა სანახაობა მელოდა მაღლა. მოლოდინები გამართლდა. მართალია, სვანეთის შესახებ ბევრი ლეგენდა და საინტერესო ისტორია მსმენია, მაგრამ შესანიშნავი ხედებით ტკბობაში გართული, ვხვდებოდი, რომ აქ ყოფნისას მისტიკურობას კიდევ უფრო მივუახლოვდი...

გია ონიანი

ვიფიქრეთ, რომ ლენტეხის მთავარ გამოწვევებზე, მიმდინარე პრობლემებსა და მიღწევებზე მუნიციპალიტეტის მერი, გია ონიანი, თავად გვიამბობდა. სწორედ მან გვიმასპინძლა. ჩვენთან საუბრის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ რაიონის განვითარებისთვის ბევრი გეგმა აქვს. “ვფიქრობ, რომ უმოქმედობა დიდი ცოდვაა. თუ შეგიძლია, შენი მხარისთვის სასიკეთო საქმე უნდა აკეთო. ბევრი რამეა შესაცვლელი და სიამოვნებით შევცვლი”...

როგორც გვითხრა, აქ საკუთარი კუთხის სიყვარულმა დააბრუნა. და მეტიც, სვანეთი თავისი ოჯახის წევრებსაც ძალიან შეაყვარა. ჰყავს მეუღლე ქრისტინე რევიშვილი და სამი ვაჟი. მართალია, დედაქალაქში სწავლობენ, სპორტითა და მუსიკით არიან გატაცებულნი, თუმცა თავისუფალ დროს ყოველთვის ლენტეხში ატარებენ და აქ ყოფნა ძალიან მოსწონთ.
ჩვენი დიალოგი საკმაოდ ვრცელი აღმოჩნდა...

- ბატონო გია, როგორც ვიცით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერად 2021 წლის ოქტომბერში დაინიშნეთ, რა პრობლემები და გამოწვევები დაგხვდათ და რისი შეცვლა შეძელით?

- ძალიან ბევრი პრობლემა დამხვდა. პირველი და უმთავრესი პრობლემა დემოგრაფიაა. თავდაპირველად, მოსახლეობას აქაურობის განვითარების არ სჯეროდა. ლენტეხი-მესტიის გზის სამუშაოების დაწყებისას კი იმედი გაუჩნდათ, რომ ლენტეხი უფრო გამავალი გახდება და მოძრაობა მოიმატებს. ამავდროულად, ცნობადობის კუთხითაც დიდი გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდით, რადგან ლენტეხი სვანეთთან არ მოიაზრებოდა. აქ უნიკალური ბუნება გვაქვს, რეკრეაციული სივრცეებია, განსხვავებული ტურიზმის განვითარება შეგვიძლია. ეს არა მხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ საქართველოშიც არ იცოდნენ. სამწუხაროდ, აქაურმა მაცხოვრებელმა არ იცოდა, ლენტეხის ამა თუ იმ სოფელში რა სიმდიდრე ინახებოდა, რა კულტურისა და რა ისტორიის მატარებელი იყო. ამიტომაც, ჯერ აქ დავიწყეთ ცნობადობის გაზრდა და მერე გადავედით დანარჩენ საქართველოსა და უცხოეთზე.

პოპულარიზაციაში სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიების ჩატარება დაგვეხმარა. მაისში დიდი ფესტივალი “სვანფესტი” ჩატარდა, კერძო ინვესტორის ხელშეწყობით. მიუხედავად ცუდი ამინდების დამთხვევისა, ლენტეხი სავსე იყო, არც ერთ გესთჰაუსსა და სასტუმროში თავისუფალი ადგილი არ დარჩა. ასე მოხდა ახლაც, როცა ბეატლონის ტურნირი ჩავატარეთ მუაშში. ეს ყველაფერი კი ეკონომიკურ განვითარებას ხელს ძალიან უწყობს.

- საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო ჯანდაცვაა. რა გამოწვევებია ლენტეხში ამ კუთხით, რა პრობლემების დაძლევა გიხდებათ?

- ჯანდაცვის კუთხითაც დიდი სირთულეები დამხვდა. რეანომობილი არ გვყავდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე მკითხეს, რა კუთხით გვჭირდებოდა დახმარება და გამახსენდა, რომ ეს პრობლემა გვაწუხებდა. კერძო ინვესტორი პირადად დამეხმარა და მან შეგვიძინა.

მართალია, სასწრაფო დაახმარების მანქანები არის, მაგრამ 40 კმ-ის მოშორებით უწევს გადაადგილება, პაციენტთან რომ მივიდეს და მერე ადგილზე მოიყვანოს. საავადმყოფოში ვერ გადაჰყავს და სრულად ვერ ეხმარება, რადგან არ არის ისე აღჭურვილი, როგორც რეანომობილი. პაციენტი ლენტეხში რეანომობილს სულ მცირე 6 საათი უნდა დალოდებოდა, რის გამოც ძალიან ბევრი ფატალური შემთხვევა ყოფილა. როცა რეანომობილი შევიძინეთ, რეანიმატოლოგების პრობლემა დადგა და პრემიერმინისტრი დაგვეხმარა, ქუთაისიდან მათი ჩამოყვანა დაგვიფინანსეს. მას შემდეგ ბევრი სიცოცხლე გადავარჩინეთ. მინდა, რომ ჟახუნდარის თემში სასწრაფო დახმარების მანქანები ადგილზე გავაჩეროთ. შარშან მორიგეობდნენ დ გამოძახებისას იქვე იყვნენ, დრო არ იკარგებოდა.

- სხვადასხვა პრობლემის გამო ხეობიდან ახალგაზრდები მიდიოდნენ, რა შეიცვალა ამ კუთხით?

- ჩემი მერობის მთავარი და ძირეული მიზანიც ეს იყო, რომ ხეეობიდან ახალგაზრდები აღარ წასულიყვნენ. ლენტეხში ასე თუ ისე ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ სოფლებში მუნიციპალური ტრანსპორტი არ არსებობდა და ბავშვები შორს სიარულს ვერ ახერხებდნენ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას მაღალმთიან დასახლებებში

მცხოვრები პირები სახელმწიფო თანადაფინანსებით შეძლებენ

საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ფერმერების მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სპეციალურ პროგრამას „მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა“ სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს. პროგრამის ბიუჯეტი 5 მლნ ლარია.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობას საკუთრებაში გააჩნია მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, მაღალია მოთხოვნა ხელის ტრაქტორებზე (მოტობლოკებზე). ახალი სახელმწიფო პროგრამაც სწორედ ფერმერთა ამ საჭიროებების გათვალისწინებით შეიქმნა.

ახალი პროგრამით დაფინანსება შეუძლია, მიიღოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა, რომელსაც მაღალმთიან დასახლებაში საკუთრებაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირების მიერ შესაძენი მცირე ზომის (7 ცხ.ძ-დან) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 70%, თანადაფინანსების ლიმიტი განსხვავებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმძლავრეების მიხედვით და არ აღემატება 2500 ლარს.

სახელმწიფოს თანადაფინანსებით მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას ფერმერები 2024 წელსაც შეძლებენ. განაცხადების მიღება მიმდინარე წლის აპრილის თვეში დაიწყო.

აგრარული მიმართულებით მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შედეგად, ყოველწლიურად იზრდება მსხმოიარობაში შესული

ბაღების რაოდენობა, რაც ზრდის მოსავლის ამღებ ტექნიკაზე მოთხოვნას. სახელმწიფოს მიზანია, მეტი ფერმერის და აგრობიზნესში ჩართული პირისათვის იყოს ხელმისაწვდომი მოსავლის ამღები თანამედროვე ტექნიკა, რაც უზრუნველყოფს აგროვადების გათვალისწინებით მოსავლის აღებას და, შესაბამისად, მაღალი ხარისხის შენარჩუნებას. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა მოსავლის აღების პროცესს უფრო ოპერატიულს და ეფექტიანს გახდის.

მიმდინარე წელს გაზრდილია მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის ჯამური ბიუჯეტი. გასულ წელს გამოყოფილი იყო 7 მლნ ლარი, წელს ეს თანხა 10 მლნ ლარია. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დიდია პროგრამით დაინტერესება, სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების პროცენტულობა განისაზღვრა ღირებულების 30%-ით, მაგრამ არაუმეტეს 150, 000 ლარით. პროგრამის ახალი პირობით, თანადაფინანსებით ყურძნის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენაც შესაძლებელია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია თანამედროვე სტანდარტის აგროწარმოების განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, ხორციელდება არაერთი პროგრამა, მათ შორის, ფერმერებისათვის სხვადასხვა სიმძლავრის, ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, ჯამში, 7500 ერთეული 440 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა სიმძლავრის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და იმპლემენტებია შეძენილი. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 122 მლნ ლარს აღემატება.

შეხვედრა ახალგაზრდებთან

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის, გია ონიანის, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი თვითმმართველობის საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩართულობა და მათი როლის გაზრდაა.

ამ მიზნით რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, ბერდია ჩანქსელიანი და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი, გია ონიანი N1 და N2 საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მოსწავლეებს გააცნეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები და აქტივობები.

ძირითადად საუბარი იყო ტურიზმის ხელშეწყობაზე, ინფორმაცია მიაწოდეს ყორულდაშში მიმდინარე სამთო-სათხილამურო ბანაკის მშენებლობაზე, რომელიც მომავალში ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა იქნება ტურიზმის განვითარებაში.

საუბარი ასევე შეეხო, სურვილის შემთხვევაში, მოზარდებისთვის სვანური ენის შემსწავლელი კურსების შემოღებას, რომელიც სულ მალე დაიწყება.

ბავშვებმა საკუთარი მოსაზრებები და საჭიროებები გააცნეს ხელისუფლების წარმომადგენლებს და სამომავლო პროფესიების არჩევანზეც ისაუბრეს.

ამგვარი შეხვედრები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და გატარებული სხვადასხვა ღონისძიებების გაცნობასა და ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდებში.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ მიზნით აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ხელედიდან სკალდის მიმართულებით ძველი საავტომობილო (სამეურნეო) დანიშნულების გზის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

სკალდის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტული თვალსაზრისით. ასევე - იმ მომლოცველებისთვის, რომლებიც ყოველწლიურად სვანურ ტრადიციულ დღესასწაულზე „სკალდობაზე“ სტუმრობენ მონასტერს.

პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს „ელიტ ბაილდერს გრუპი” ასრულებს, რომლის ღირებულება 301, 718 ლარს შეადგენს.

მიმდინარე სამუშაოები, მონიტორინგის მიზნით, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ბერდია ჩანქსელიანმა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანმა, მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძემ მოინახულეს.

უძველეს ძეგლებამდე და ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზების მოწყობა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი, მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე სოფელ ყვედრეშის მოსახლეობას შეხვდნენ და მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მათთან ერთად განიხილეს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

„ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან შეხვედრები, რადგან უშუალოდ მათგან მოვისმინოთ სოფლის საჭიროებები და მოსახლეობამ აირჩიოს სოფლისთვის პრიორიტეტული პროექტები.

განხორციელებული და უკვე მიმდინარე პროექტები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები აქტიურად გრძელდება,“ - აღნიშნა გია ონიანმა.

მოსახლეობასთან მსგავსი ტიპის შეხვედრები ხელს უწყობს როგორც სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, ასევე - თემის პრიორიტეტებისა და სამომავლო მიმართულებების განსაზღვრას.

„ვიდრე თითოეული მოქალაქე არ შეიგრძნობს, რომ სახელმწიფო „მეწველი ძროხა” არ არის, მანამდე ძალიან გაგვიჭირდება...”

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი, გია ონიანი, რაიონის გამოწვევებისა და მიღწევების შესახებ

პირველი გვერდიდან

თანაც სკოლის შემდეგ, ეს ძალიან რთულია და შეუძლებელიც. ამის გამო, მშობლებს ბავშვები მასიურად გადაჰყავდათ ქალაქებში. ამ მიმართულებით მუშაობა დავიწყეთ. სიმღერისა და ცეკვის ფუნქციური კლუბები ყველა სოფელში გავხსენით. მერე ხეობაში ძიუდოს სექცია დავამატეთ, ასევე რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის კლუბი “ამარანტები” შეიქმნა და ამ კლუბის მეშვეობით ყველა სოფელში შევიდა რაგბი. “ამარანტებს” კერძო ინვესტორი აფინანსებს. მიკროავტობუსი, რომელიც საჩუქრად გადავეცი, კვირაში სამჯერ დადის სოფლებში და ბავშვებს კრებს. იქვე ვარჯიშები უტარდებათ და მერე სახლებში ბრუნდებიან.

გასულ წელს ძალიან კარგი სპორტული შეკრებაც მოეწყო კვებითა და კარგი პირობებით. World Rugby-ისა და რაგბის კავშირმა ტურნირები ჩაატარა და მთელი საქართველოდან 11-12 ბავშვის წაყვანა დაფინანსდა საფრანგეთში, აქედან 6 ბავშვი ლენტეხიდან გავუშვით. ახლა კიდევ ერთი ბავშვის გაშვებას ვაპირებთ. ამ მხრივ დიდი პერსპექტივაა. ასევე აღსანიშნია, რომ ქალთა რაგბი ჩამოვაყალიბეთ და სარანგეთის ტურნირში 5 გოგონა და ერთი ვაჟი იღებდა მონაწილეობას.

World Rugby-მ ლენტეხი საფესტივალო ქალაქი გახადა. გვინდა, 26 მაისს ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის მასშტაბური ფესტივალი ჩავატაროთ. რაგბის სტადიონის განახლებაზე პროექტი უკვე მზადაა და საერთაშორისო დონის სტადიონი უნდა გაკეთდეს, რომელიც სხვადასხვა სპორტსმენს უმასპინძლებს და აქ იქნება ცენტრი.

ასევე ძიუდო და კალათბურთი უნდა განვავითაროთ, სპორტდარბაზი გარემონტდება და მთელი ინვენტარით აღიჭურვება. ასევე კრივის სექციისთვის შევიძინეთ ინვენტარი.

საქართველოში პირველად ჩატარდა ბეატლონის ტურნირი, ოლიმპიური სახეობაა. სროლა სვანურ ხასიათში კარგად ჯდება. ორი თვის განმავლობაში, ტურიზმის წარმომადგენელთან ერთად მე ვავარჯიშე ბავშვები, მწვრთნელი არ გვყოლია. ინტერნეტით ვუყურებდით და ისე ვემზადებოდით. ეს პირველი საწყისი იყო და ვფიქრობთ, რომ უფრო დიდ საფეხურზე გადავა. სპორტის სამინისტროსგან მაქსიმლური მხრდაჭერა და ფედერაციასთან მჭიდრო კავშირი გვაქვს, რეგიონულ ცენტრს ვაფუძნებთ. ამ სახეობაში ფედერაციაში ერთ-ერთი წარმომადგენელი მეც ვიქნები.

კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის მხარდაჭერით, სამთო ბაზა შენდება, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი იქნება. მეკლდეურების ბანაკი მოეწყობა, რის შემდეგაც საერთაშორისო დონის მთასვლელები შეგვიძლია მივიღოთ. მჯერა, ეს როგორც სპორტული კუთხით, ასევე ტურისტული მიმართულბით, ძალიან დიდი წარმატების მომტანი იქნება.

- ტურიზმის მიმართულებით კიდევ რა გეგმები გაქვთ?

- ტურისტულ მიმართულებას რაც შეეხება, ძალიან მინდა სვანური ყოფა-ცხოვრების ამსახველი მუზეუმის გაკეთება ლენტეხში, რომელიც საქართველოში პირველი იქნება და ანალოგი არ ეყოლება. ცვილის ფიგურები იქნება, მაგალითად, ბავშვი როგორ თამაშობს ნახშირში, აკვანში ჩვილი როგორ წევს, დედა როგორ არწევს, მახვში როგორ ზის სკამზე და ა.შ.

- კულტურის მიმართულებით თუ გაქვთ სიახლეები?

- კულტურის სახლი უკვე დავასრულეთ და აუცილებად დავიწყებთ სპექტაკლების ჩვენებას. გვსურს, რომ აქ დაიდგას სპექტაკლები და მაყურებლები სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოვიდნენ. კინო ფილმების ჩვენებასაც გავმართავთ.

- ბატონო გია, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რას გვეტყვით, რა პროექტები ხორციელდება?...

- ამ კუთხით დიდი ძვრები გვაქვს. მომდევნო წელს უკვე ყველა სოფელს ბეტონის გზა ექნება. სივრცით მოწყობებზეც მალე გადავალთ, სასმელი წყლის პრობლემაც სოფლის 90%-ს წელს მოუგვარდება. წყალი, მართალია, ყველას მიეწოდება, თუმცა წყლის სისტემები მწყობრიდან გამოვიდა და ვცვლით. 13 მილიონიანი პროექტია და დაბის სრული რეაბილიტაცია მოხდება. ცენტრალური აუზი შეკეთდება, გაფართოვდება და თანამედროვე დონეზე მოეწყობა.

მალე რამდენიმე მიკროჰესის მშენებლობაც დაიწყება, ეს ადილობრივ შემოსავალს დადებითად შეცვლის. და 2 წელიწადში სულ სხვა რეალობა გვექნება ლენტეხში.

მართალია, სოფლებში არსებული საჯარო სკოლები გარემონტდა, თუმცა ამ ეტაპზე, ბაგა-ბაღებში გვაქვს პრობლემა. შენობების პრობლემაა და ინვენტარიც გასაახლებელია…

ცენტრალური ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია უნდა დაიწყოს, პროექტი მზადაა და დაფინანსებას ველოდებით, რის შემდეგაც სოფლებსაც მივხედავთ.

- და ბოლოს, როგორც მოქალაქე რას შეცვლიდით ლენტეხში?

- ბევრი რამეა შესაცვლელი და სიამოვნებით შევცვლი, დრო სჭირდება და ნელ-ნელა ყველაფერი გამოვა. როგორც მოქალაქე, ალბათ ვეცდებოდი, რომ ხელისუფლებისთვის ხელი შემეწყო, მეტი თანადგომა და აქტიურობა გამომეჩინა. აუცილებელია და ყველას მინდა მოვუწოდო, რომ თითოეულმა მოქალაქემ ლენტეხის საჭიროებებზე ვიფიქროთ და პრობლემების მოგვარებაზეც ერთად ვიზრუნოთ.

აი, დამოუკიდებელი მოქალაქე რომ ვიქნები, ბევრი რამე მაქვს დამახსოვრებული და ჩაწერილი. ძალიან ბევრთან მაქვს ჩემი სათქმელი, ახლა თმენის ვალდებულება მაჩერებს. ვიდრე თითოეული მოქალაქე არ შეიგრძნობს, რომ სახელმწიფო „მეწველი ძროხა“ არ არის, მანამდე ძალიან გაგვიჭირდება. აუცილებელია და ყველას მინდა მოვუწოდო, რომ თითოეულმა მოქალაქემ ლენტეხის საჭიროებებზე ვიფიქროთ და პრობლემების მოგვარებაზეც ერთად ვიზრუნოთ.

მარიამ ირემაძე
ნატო გუბელაძის ფოტოები

ავტოგრაფი

პოეტი ლენტეხიდან - სოსო მეშველიანი:
„პოეზიასთან ჩემი ურთიერთობა უხსოვარი დროიდან იწყება“...

„მე ვარ სოსო მეშველია-ნი, მწერალი (თუმცა ეს უკვე პროფესიად არ ითვლება)", - ჩვენი საუბარი სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო, როდესაც ვთხოვე, ჩვენი გაზეთის მკითხველს გაცნობოდა. როგორც გვითხრა, ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა, რისი დამთავრებაც მიზეზთა გამო ვერ შეძლო. იძულებული გახდა, სწავლისთვის თავი დაენებებინა და საზღვარგარეთ წასულიყო.

ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს. ბოლო დროს საქართველოს უფრო ხშირად სტუმრობს…

მართალია, ლექსებით ბავშვობიდან იყო გატაცებული, თუმცა წერა და მათი გამოქვეყნება მოგვიანებით დაიწყო.

გამოცემული აქვს ოთხი პოეტური და ორი პროზაული კრებული. რამდენიმე პრემიის ლაურეატი გახლავთ, მათ შორის კულტურის სამინისტროს პრემიის "ლიტერა"- ს, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის "მაჩაბელი" და თბილისის საკრებულოს პრემიის "თბილისი 2015" ლაურეატი.

მისი ლექსები 7 უცხოურ ენაზეა თარგმნილი, ბოლოს რამდენიმე ლექსი ესპანურ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა ესპანეთში გამოცემულ ანთოლოგიაში.ექსკლუზიური ინფორმაციაც გაგვანდო, რომ მალე მისი ლექსები და ნოველები, ესპანურად თარგმნილი, ცალკე წიგნად გამოიცემა.

- სოსო, უპირველესად, გვიამბეთ თქვენი ბავშვობის შესახებ და გაიხსენეთ ლენტეხში გატარებული პერიოდი.

- რთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო ბავშვობა მქონდა, იმდროინდელი მოგონებები დღემდე ფონად გასდევს მთელ ჩემს შემოქმედებას. მეტიც, დღემდე ასეთი დამოკიდებულება რომ არა ჩემი ბავშვობის მიმართ, ჩემი შემოქმედება მთავარ ნერვს დაკარგავდა.

რვა კლასამდე სოფელ ხოფურში ვსწავლობდი, ლენტეხში რომ გადავედი სასწავლებლად, ეს ის პერიოდია, როცა საბჭოეთი იშლებოდა, ყველაფერი უცებ აირია, ცხოვრება გაჭირდა, ჩემი ფერადი ბავშვობა კი უცებ რუხ ფერებში მოექცა. ეს პროცესი, ცხადია, აუცილებელი იყო, მაგრამ ყველაფრის დალაგებას დიდი დრო დასჭირდა. ჩემი აზრით, ჩემი თაობა ყველაზე ტრავმირებული თაობაა, სადღაც უფსკრულსა და თავისუფლებას შორის წლობით დაკიდებული.

- ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ ყველაზე თავისუფლად თავს თქვენს სოფელში გრძნობთ. რატომ? რა ემოცია გეუფლებათ იქ ყოფნისას?

- დიახ, ასეა. და აი ახლა თქვენს კითხვებზე რომ უნდა მეპასუხა, მხოლოდ სოფელში შევძელი ეს. თბილისი ძალიან მბოჭავს, იქ სულ უხალისოდ და დამძიმებული ვარ. საზღვარგარეთ მიუხედავად მძიმე ფიზიკური შრომისა, მაინც უფრო თავისუფალი მაქვს გონება, უფრო მევსება სათქმელით, თბილისი სრული სიცარიელეა.

- როგორც ვიცით, წლებია, უცხოეთში ცხოვრობთ. რამდენად ხშირად ახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას?

- ჩემი შეგნებული ცხოვრების ნახევარზე მეტი უცხოეთში გავატარე, იყო პერიოდი, როცა წლობით არ შემეძლო სამშობლოში ჩამოსვლა, მოგვიანებით რეზიდენტი გავხდი და ახლა უმეტეს დროს აქეთ ვატარებ.

- როდის დაიწყო პოეზიასთან თქვენი ურთიერთობა?

- პოეზიასთან ჩემი ურთიერთობა უხსოვარი დროიდან იწყება. ვგულისხმობ იმას, რომ არც კი მახსოვს. ბაღიდან მოყოლებული, მიყვარდა ლექსი, მუსიკის მოსმენა, ნახატების თვალიერება, ეს ყველაფერი თავბრუს მხვევდა. მიყვარდა ბალახი, ყვავილი, ღელე, გაზაფხულის ხმები, შემოდგომის ფერები, ვიდექი გაშეშებული, ვუყურებდი, ვუსმენდი. აქედან მოყოლებული, რაღაც უცნაური ხდებოდა ჩემში. ლექსების წერა გვიან დავიწყე (მანამდე ვხატავდი), გამოქვეყნება კი - კიდევ უფრო გვიან.

- გაიხსენეთ პირველი ლექსი… ვინ იყო პირველი შემფასებელი? ვის და როდის გაუმხილეთ, რომ ლექსებს წერდით?

- პირველი ლექსები სადღაც აორთქლდნენ, გონებაში კი აქა-იქ თუ გაიელვებს ჟამიდან ჟამზე რომელიღაც გულუბრყვილო ლექსის სტრიქონები. "ჩრდილიც გასწორდა გადახრილ ნიგვზის, ქარს ვუშვერ ჭინჭრით დასუსხულ ხელებს, ის დედაბერი ისევე იქ ზის, ზის და დაჰყურებს ხრამსა და ღელეს."

თხუთმეტი წელი ვმალავდი, რომ ვწერდი. გარემო, სადაც ვიზრდებოდი, ძალიან შორს იყო პოეზიისგან. მოგვიანებითაც, როცა გაიგეს, ძალიან არასერიოზულად აღიქვეს ჩემი პოეტობა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო მათთვის, დღემდე ვერ მიეჩვივნენ. მერე ახლობელმა დამიყოლია, ბაღათურ არაბულისთვის მეჩვენებინა, რომელიც ლენტეხელების სიძეა.

ძალიან მოეწონა. ჩემი პირველი პუბლიკაციაც ჟურნალ "ცისკარში" შედგა, სადაც ის მუშაობდა. მერე ისე აეწყო, ლიტერატურულ სამყაროში ყველა კარი გაიღო ჩემთვის.

- სად და როდის წერთ ყველაზე კარგად?

- მთელი ცხოვრება ზეპირად ვწერ, ზეპირად ვაწყობ ლექსის რამდენიმე ვარიანტს, მერე რომ ერთმანეთში იხლართებიან, ერთმანეთს იწოვენ, ერთ სახეს იღებს, მოგვიანებით გადამაქვს ფურცელზე, (დღემდე ფურცელზე ვწერ) ბოლო ხანს ცოტა მიჭირს ზეპირად წერა, მეხსიერების გაუარესების გამო. ბევრი რამე იკარგება, წერასაც ვუკელი. მაღიზიანებს, პირდაპირ რომ აკრეფენ და ინტერნეტ სივრცეში განათავსებენ ტექტებს, ეს ტექსტსაც ეტყობა, ცარიელია, არაფერი ახალი, გადაღეჭილი სახეები, მდარე ტექნიკა, არანაირი სიღრმე. თუმცა, მომწონებელი - იცოცხლე. ეტყობა, მთავარია, აქტიური უნდა იყო, მოიწონე ყველა და შენც მოგიწონებენ. მე, პირადად, თუ გონებაში სათქმელი მომწიფდა, სულერთია, სადაც ვიქნები: ხარაჩოზე, სათიბში თუ მეტროში, ერთნაირად შემიძლია წერა.

- როგორ შეაფასებდით 21-ე საუკუნის პოეზიას? პოეტებს?

- ბევრი საინტერესო ავტორია, თუმცა აქაც, როგორც სხვა ყველა სფეროში, ძალიან არეულია ყველაფერი, დაულაგებელი, რაღაც კლანებად დაყოფილი, პოლიტიკურად ერთმანეთს დაპირისპირებული, ჩემიანსხვისიანებად დაყოფილი… მოკლედ, ამ ყველაფრის დალაგებასაც დიდი დრო დასჭირდება.

- როგორც ვიცით, თქვენი ლექსები თარგმნილი და შეტანილია უცხოურ ქვეყნებში გამოცემულ კრებულებსა თუ ანთოლოგიებში. გვიამბეთ ამის შესახებ.

- დიახ, ჩემი ლექსები დღეისდღეობით 7 უცხოურ ენაზეა თარგმნილი, ბოლოს რამდენიმე ლექსი ესპანურ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა ესპანეთში გამოცემულ ანთოლოგიაში. ბარემ ექსკლუზიურად აქ ვიტყვი, რომ მალე ცალკე წიგნად გამოვა ესპანურად თარგმნილი ჩემი ლექსები და ნოველები.

- ჩვენთვის როგორც ცნობილია, დოკუმენტური პროზის კრებულიც გამოეცით. გვესაუბრეთ, რის შესახებ არის.

- ორი პროზაული კრებული მაქვს გამოცემული "ქუნარეშ" და "ალპური ყვავილები". პირველმა კრებულმა, ცოტა არ იყოს, მაეჭვიანა. ოცდახუთი წელია, ლექსებს ვწერ, სამი პოეტური კრებული მქონდა გამოცემული. ცხადია, უფრო პოეტად ვთვლი საკუთარ თავს და ამ სულ რაღაც ორ წელიწადში დაწერილმა წიგნმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, იმდენი გამოხმაურება მოჰყვა უკვე აღიარებული მწერლებისგან, სიხარულთან ერთად, უხერხულობის განცდაც გამიჩნდა. წიგნში ერთმანეთზეა გადახლართული სვანურ-ესპანური ამბები, არქაული და თანამედროვე, უძველესი სვანური ტრადიციები და ემიგრანტის თვალით დანახული თანამედროვე ესპანეთი.

- როგორია წარმატების თქვენეული ფორმულა?

- არ ვიცი, ეს წარმატება რამდენად მაქვს განცდილი, რომ ამაზე პასუხის გაცემა შევძლო. ჩემში მაინც ის გულწრფელობა და სიალალეა თვალშისაცემი, რაც ჩემს ნაწარმოებებში იგრძნობა და წარმატებული ლიტერატორების დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ.

- რა გესიზმრებათ ყველაზე ხშირად? და რა გენატრებათ?

- ბავშვობა, სოფელი, ის მთა, სადაც მთელი ჩემი ყმაწვილკაცობა გავატარე. ვეება მსხლების ყვავილობა ნისლიანი ტყის დასაწყისში, ხშირად ამ სიზმრებიდან ამიკრეფია პოეტური სახეები. ბავშვობა მენატრება, უსაშველოდ მენატრება.

- გაგვაცანით თქვენი ოჯახის წევრები

- 16 წელია, დაოჯახებული ვარ, მყავს მეუღლე, პროფესიით იურისთი, თეა პირველი და ორი შვილი, მარიამი და გიორგი. თავს ვიკავებ, რომ ისინიც ემიგრაციაში წავიყვანო. მინდა, რომ შვილები საქართველოში გაიზარდონ...

- როგორ ატარებთ თავისუფალ დროს, რა არის საყვარელი საქმიანობა, ჰობი, რომელსაც დროს სიამოვნებით უთმობთ?

- თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს, თუ ცოტა დრო გამოვნახე მოგზაურობა მიყვარს, ალბათ ჩემი ჰობიც ეს არის.

- რას ეტყოდით ადამიანებს გზავნილის სახით?

- სადაც არ უნდა იყოთ, როგორც არ უნდა იყოთ, არასდროს დაავიწყოთ თქვენს შვილებს მშობლიური ენა. ამის გარეშე არც იფიქროთ, სადმე რამეს მიაღწევთ.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- არასდროს არაფერს ვგეგმავ, მთავარია, თავისუფალ ადამიანად დავრჩე ბოლომდე.

- წარმატებებს გისურვებთ და გთხოვთ სახსოვრად თქვენი ავტოგრაფი დაგვიტოვოთ

ესაუბრა მარიამ ირემაძე

სოსო მეშველიანი

ყველაზე ჩუმი ლექსი

ხშირად ვიგონებ (თუ იქ არა ვარ)
სთვლისას და ბინდში ჭრაქების
პარპალს,
ღამის მეხრეთა უხმო ქარავანს
და ზვინს, რომელიც წვიმაში დალპა.

მიკვირს, აქამდე როგორ გავძელი,
ასე მშვიდად და უფათერაკოდ,
ჯანდაბას ყველა ნაჯღაბნ-ნაწერი
და შენც გამცემო, ლექსო, ვერაგო.
მინდა, პერანგის ფართოდ გაწელილ
უბეში მწიფე მსხლები მელაგოს.

თუნდაც ბზიკები მკბენდნენ
მუცელზე,
თუნდ ძლივს გავასწრო მეზობლის
ნაგაზს,
სადღაც კუნტრუშობს ჩემი ბავშვობა,
ბოჩოლასავით მომწყდარი ბაგას.

როგორ დავშორდი, როგორ
დამშორდა
ჩემი ბავშვობა,
ჩემი ბავშვობა.
ხშირად ვიგონებ (თუ იქ არა ვარ)
სთვლისას და ბინდში ჭრაქების
პარპალს,
ღამის მეხრეთა უხმო ქარავანს
და ზვინს, რომელიც წვიმაში დალპა.

დრო და სივრცე

"დასაწყისი არ არსებობს,
არის მხოლოდ გაგრძელება"
უნამუნო

ირღვევა, წვრილი კენჭებივით ცვივა
უფსკრულში,
მზეც დაიტანჯა საკუთარი
უნიათობით.
კვლავ ჩაანაცვლა ოქროსფერი
ღამემ მუქლურჯით
და მოქცეულა სოფლის სივრცე,
სოფლის ფართობი ძაღლის ყეფაში.
ღრმად ჩამხმარა ფრჩხილებში მიწა,
თვალებში ღამე. გრილ მიწიდან
ვთხრიდით კარტოფილს.

ჯერ მთვარე იყოს, გაჩნდებიან
ჩრდილები მერეც,
ცას ვუმზერ და ვგრძნობ ამბროზიას,
რომელიც არ ჩანს.
ჯანდაბას ის, რაც თხუნელებმა
ჩაზიდეს ბნელეთს,
მაინც კარგია, სულ ამაოდ არ შემრჩა
გარჯა.
მწიფე მსხლის წვენით დათხუპნული
ბავშვობის ჩათვლით
დასევდიანდა ყველაფერი, რაც უკან
დარჩა.

მელიის ტყავი ბილბაოს ტავერნაში

ეს ფუმფულა და მბზინავი ბეწვი
მაგონებს ჩემი ბავშვობის ზამთარს,
დათოვლილ ხევებს, გაყინულ
ღელეს,
ხმაც რომ მოყვება ღამეულ მგზავრთა.

უცებ უბრალო ფიქრის ნაპერწკალს
მოგონებები აქცევენ ნაღმად,
რომ ცხადად ვიგრძნო ჩემი ბავშვობა
როგორ მიყვება ჩირგვიან აღმართს...

მაგონებს ტყეს და ყინულის მწვანე
ლოლოებს მწვეთავს ფიჭვების
ხავსზე,
მავიწყებს მძიმე დახიწვულ ყოფას,
მავსებს სევდით და ბავშვობით
მავსებს.

მავსებს ტკბილ-მწარე წარსულის
წლებით,
არც მთლად ზღაპრით და თეთრი
გედებით...
უცებ მაფხიზლებს ბარმენის ხრინწი,
უხეშად:
- მორჩა! ჩვენ ვიკეტებით!

პიკანტური ისტორიები

ძვირფასო მკითხველო, თქვენთვის ახალი რუბრიკა გვაქვს - „პიკანტური ისტორიები". დარწმუნებული ვართ, მოგეწონებათ და ყოველ ნომერს გულისფანცქალით დაელოდებით.

ნაშვილები

ირაკლი აბულაძე



წინა ნომრიდან

თამრიკომ, ერთი პირობა, შეკამათება დააპირა, მაგრამ მაკა ბალანჩივაძის მედიდური ხასიათი და ყალბი მანერები რომ გაახსენდა, უსიამოვნებას მოერიდა და სასწრაფოდ სხვაზე გადაიტანა საუბარი:

— აქეთ მობრძანდებით, არა?

— ჰო, გენაცვალე, შენ რას შვრები? ხომ ისევ წერ? რა მშვენიერი ლექსები გაქვს. თემურს უნდა ვუთხრა, ერთი.

— თემურს...

— ლანჩავას, გოგო! „უქიმერიონში" დავაბეჭდვინებ.

— არა, ქალბატონო მაკა! ეგ რა ლექსებია... რა გამოსაქვეყნებელია... ისე, ჩემთვის ვწერ ხანდახან.

— ნუ ხარ დაკომპლექსებული. ბუნებამ ასეთი ნიჭიერი გაგაჩინა, შენ კი შენი თავის ფასი არ იცი. ჯერ იყო და, ფილოლოგიურის ნაცვლად, მათემატიკურზე ჩააბარე. მერე, იმის მაგივრად, კარგი ბედი მოგეძებნა, ვიღაც ქარხნის მუშას გაჰყევი, უბირს, შოფრის ოჯახში შედი რძლად. შენ, რა გგონია, ვერ დაგინახე, ხაჭაპურებს რომ ყიდიდი? ეეე, თამუნია, თამუნია!.. ჩემთვის რომ დაგეჯერებინა მაშინ და ჩემს დისშვილს გაჰყოლოდი, ახლა ხომ იქნებოდი თბილისში, ვაკეში, ქმარიც სამინისტროში გეყოლებოდა.

შეურაცხყოფილი თამრიკო სახეზე წამოწითლდა და, ის იყო, მკვახედ უნდა მიეხალა რაიმე, რომ, მოულოდნელად, მაკამ ისეთი სიტყვები წარმოთქვა, ყურში კინაღამ ცხელი შამფურივით გაერჭო:

— მე კიდევ ვიაქტიურებდი და, იქნებ, გამოსულიყო კიდეც თქვენი საქმე, მაგრამ, ჩემმა დამ რომ გაიგო, ნაშვილები ხარ, ძალიან შეიკავა თავი. რა ვიცი, რა სისხლის და გენის მატარებელიაო. მაგას რა ვუთხრა მე!

— ნაშვილები?.. — თამრიკოს თვალები გაუფართოვდა და გამომშრალ ყელში ნერწყვი ვეღარ გადაიტანა. მერე უნებლიეთ, გაეცინა,— რა ნაშვილები, რას ამბობთ...

— კარგი, ერთი! ვითომ არ იცი! ოცდაათს გადაშორებული ქალი პატარა გოგოსავით რას მიამიტობ, ჩვენ ყველამ ვიცით, გენაცვალე, და შენც ნუ შეეცდები მაგის დამალვას. რა აზრი აქვს, აბა? უბრალოდაც რომ შეგხედავთ ადამიანი შენ და შენს გამზრდელს, ხომ ხელად მიხვდება, რომ შენ თეთრი ხარ, ჭროღათვალება, ის კიდევ—სომხის ბებერივითაა—შავი, წვერულვაშიანი, შეუხედავი. შენნაირ ნიჭიერ გოგოს თალიკიე ქუთათელაძე გააჩენდა? მაგის დედაც, თამარიე, დებიც... ყველა მდაბიო და უსახური იყო. პრინცესასავით გოგო ხარ, გენაცვა, მესემჩკის შვილად რატომ მოგაქვს თავი, ვერ გამიგია. სასახელოა, თუ?

სხვა აღარაფერი გაუგონია, მკლავზე კალათის დაცემისა და საკუთარი ნაბიჯების ხმის მეტი.

გარბოდა...

თვითონაც აღარ იცოდა, საით მიარბენინებდნენ ფეხები, სად ეგულვოდა გასაქცევი და თავშესაფარი, სად შეიძლებოდა, დამალვოდა საშინელებას, რომელიც, ეს-ესაა, ასე მწარედ, უჯიათოდ, შეუბრალებლად თვალწინ აუფრიალეს და რომელმაც, ერთ წამში, მთლიანად გადაუსვა ხაზი მის ამქვეყნიურ არსებობას.

აღარ არის თამრიკო ქუთათელაძე!

აღარ არსებობს თამარ ქუთათელაძე — თხემით ტერფამდე ქუთაისელი გოგო, რომელიც მუდამ ამაყობდა მშობლიური ქალაქის სახელწოდებასთან შეტკბილ-ხმოვნებული მშვენიერი გვარით, თავისი „მეშვიდე თაობის ქუთაისელობით."

რამდენჯერ უქექია ძველი წიგნები თუ დოკუმენტები, რამდენჯერ უცდია, მეტი და მეტი გაეგო თავის გვარზე, გენებზე. ერთხელ, მეათე კლასში, მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისთვის თემაც კი მოამზადა—„ჩემი გვარი"—და თბილისში გამოიძახეს, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში. იქ „დაიცვა" ნაშრომი და პირველი ხარისხის დიპლომი საზეიმოდ გადასცეს.

ის კი, თურმე, „სხვა" ყოფილა, თამრიკო არა! „სხვა"!.

და, შეიძლება, ვერც ვერასოდეს დაადგინოს, სინამდვილეში რა გვარი აქვს, ვისი შვილია, ვინ არიან მისი რეალური მშობლები.

კარი რომ შეაღო, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ შინ მისულიყო.

ისეთი სახე ჰქონდა, დედამთილი, ამხელა წონის ქალი, უცებ წამოვარდა ფეხზე.

ავთოს ხელში აყვანილი მამუკა კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

ტყუპი გოგონები ადგილზევე გაშეშდნენ და თვალებგადმოცვენილ, წამოჭარხლებულ დედასთან ახლოს მისვლა ვეღარ გაბედეს.

თამრიკო საძინებელი ოთახის ზღურბლზე შემოტრიალდა და ორადორი სიტყვა ფეხებთან მძიმედ მიუგდო ოჯახს:

— ნაშვილები ვყოფილვარ.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

კროსვორდი





შეადგინა ალეკო ნემსაძემ

თარაზულად: 3. მეთხუთმეტე ბერძნული ასო. 5. ფინური ელექტროსატელეფონო ფირმა. 6. ჯარი, ლაშქარი ძველად. 8. მდინარე ჩილეში. 9. მიტო კახურად. 11. ბრიტანეთის ერთ-ერთი პროვინცია.

შვეულად: 1. ფრანკთა მეფე ... მოკლე. 2. დიდი ჩაქუჩი. 3. ლუდის სახეობა. 4. მზის სისტემის პლანეტა. 7. ვენესუელას პრეზიდენტი ... ჩავესი. 10. ძოლუსკის სახეობა.

კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. იბიკოსი. 5. აგური; 6. ორი. 8. ბრა. 9. კამეა. 11. აპენინი.

შვეულად: 1. დიორი. 2. გოა. 3. იუგურთა. 4. ისრაელი. 7. კალია. 10. დეა.

ჩვენი ენა ქართული

იცით თუ არა?

სვანური არის ენა, რომელშიც საგინებელი სიტყვა არ არსებობს...

როგორ შეიძლება გოროზი, წმინდა მთების შემხედვარე, ენა მოგიბრუნდეს საგინებლად? - სვანეთის ულამაზესმა, მაგრამ მკაცრმა და მიუდგომელმა ბუნებამ არ დაუტოვა ადგილი გინებას - "განბასრება", "შეურაცხყოფა", „უპატივო ყოფა", „უპატიოება", "ლანძღვა", "წაბილწვა" (ძველი ქართული ენის ლექსიკონი) .

ამასთან დაკავშირებით აკადემიკოს შერმადინ ონიანის შვილიშვილი, ნიკოლოზ გაზდელიანი იხსენებს:

"ლეგენდარულმა ქართველმა ენათმეცნიერმა, აკაკი შანიძემ ჩემს აკადემიკოს ბაბუას, შერმადინ ონიანს ნახევრად ხუმრობით უთხრა - „ჩემი ნება რომ იყოს, სვანურ ენას მსოფლიო ენად გამოვაცხადებდი, რადგან სვანურში ერთ ბილწ სიტყვასაც ვერ შეეხვდებითო".

შანიძე არ ცდებოდა, სვანურ ენაში გინება, როგორც ასეთი, მართლაც არ არსებობს .

ნათქვამია, სიტყვა აზრების სამოსელიაო, ხოლო აზრები, ადამიანის შინაგან ბუნებას გამოხატავს და მის პიროვნულ რაობაზე მეტყველებს.

ენას არა მეცნიერები და მწერლები, არამედ ხალხი ქმნის და ენაში ამ ხალხის აზროვნება და ზნეობა არის გაცხადებული. ძვირფასია ხალხი, რომელმაც თავის ენაში ბილწსიტყვეობა არ შეიტანა და ეს ენა საგინებელი სიტყვის გარეშე შეინარჩუნა.

სულხან-საბას მარგალიტები

ზღუდე — არს ყოველი სიმგრგვლით შემოვლებული;

გალავანი —არს არაზღუდე, არამედ კედელი მაგარი გრძლად ნაგები;

ეზო — არს არა გარე ზღუდედ მოვლებული, არამედ წინათ კერძო ანუ გვერდით მოხრილი კედელი, რათა შუა ადგილი აქვნდეს;

ბაკი — არს ზღუდე ხვასტაგთათვის, რაისაგანაც მოვლებული იყოს;

გისსონი — არს ზღუდე სიმაღლით სამი წყრთა.

როგორ ვწერთ და ვმეტყველებთ

სწორია	არასწორია
უდავო	~~უდაო~~
უთავო	~~უთაო~~
დაობს	~~დავობს~~
უზნეო	~~უზნეური~~
ნაქმრევი	~~ნაქმრები~~
უგუნური	~~უგნური~~
უმსგავსი	~~უმზგავსი~~
მილიარდერი	~~მილიარდელი~~
პრეტენდენტი	~~პრეტედენტი~~
კონსოლიდაცია	~~კონსოლდაცია~~
რამდენიმე	~~რამოდენიმე~~
რასობრივი	~~რასიული~~
ტინეიჯერი	~~თინეიჯერი~~

ლენტეხი news
ქიმერიონი qimerioni

მთავარი რედაქტორი: გულიზა (ნატო) გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. №16/12. • **599 10 77 94** • nato2727@gmail.com

გამომცემელი: შპს „ქიმერიონი"; კომპანიამ ტენდერში გამარჯვების გზით მოიპოვა ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის ყოველთვიური საზოგადოებრივი გაზეთის გამოშვების უფლება (საგაზეთო მასალების მომზადება, ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება). ხელშეკრულება №21 (12.02.2024).